



Agreement	შეთანხმება
About defining the composition and rule of activities of Project Management Board according to the agreement #P/350304/10 on state procurement of advisory services between ministry of Labour, Health, and Social Affairs of Georgia and „Global Alliance for Health and Social Compact“ LTD dated 07 April of 2015	5/350304/10-1 2004.2015 საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და LTD „Global Alliance for Health and Social Compact“-ს შორის 2015 წლის 7 აპრილს გაფორმებული N3/350304/10 ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის მართვის საბჭოს შემადგენლობისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის თაობაზე
Ministry of Labour, Health, and Social Affairs of Georgia, hereinafter referred to as the “Ministry”, represented by Minister David Sergeenko, on the one hand and Global Alliance for Health and Social Compact LTD, incorporated and registered in England and Wales with company number 9196046 whose registered office is at 22 Billet Street, Taunton, Somerset, TA13NG, England hereinafter referred to as the “GAHSC”, represented by the authorized representative Dr. Jean-Elie Charles Malkin, (passport 14FV05965, issued on October 20, 2014, date of birth 18.12.1951, according to the Power of Attorney issued on March 25, 2015) on the other hand, (hereinafter together referred to as the parties) in order to fulfill the agreement #P/350304/10 on state procurement of advisory services dated 07 April of 2015 (hereinafter the Agreement), the parties agreed as follows:	ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „სამინისტრო“, წარმოდგენილი მინისტრის - დავით სერგეენკოს სახით, და მეორეს მხრივ, LTD „Global Alliance for Health and Social Compact“, რეგისტრირებული, როგორც კორპორაცია, ინგლისსა და უელსში, კომპანიის სარეგისტრაციო ნომრით 9196046, რომლის რეგისტრირებული მისამართია: ინგლისი, TA13NG, სომერსეტი, ტონტონი, ბილეტის ქ. №22, შემდგომში „GAHSC“, წარმოდგენილი მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ჟან ელი ჩარლზ მალკინის (პასპორტის ნომერი 14FV05965, გაცემული 2014 წლის 20 ოქტომბერს, მინდობილობის თანახმად გაცემული 2015 წლის 25 მარტს) სახით, (შემდგომში ერთად წოდებული როგორც მხარეები) 2015 წლის 7 აპრილს გაფორმებული N3/350304/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) შესრულების მიზნით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:
1. Composition of the Project Management Board	1. პროექტის მართვის საბჭოს შემადგენლობა:
1.1. The composition of the Project Management Board (hereinafter Board) is defined by 12 members, including Chairman to be appointed by the Minister and co-Chairman to be appointed by the GAHSC. Number of seats will be equally distributed between the Parties. The co-Chairman shall perform all the duties of the Chairman when the latter is unable by reason of absence or other cause to perform such duties and shall also have such other powers and duties, if any, as may be assigned from time to time to him/her by the Board.	1.1. პროექტის მართვის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შემადგენლობა განისაზღვრება 12 წევრით: მათ შორის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც დანიშნული იქნება მინისტრის მიერ, და თანათავმჯდომარე, რომელიც დაინიშნება „GAHSC“-ის მიერ. წევრების რაოდენობა თანაბრად გადანაწილდება მხარეებს შორის. თავმჯდომარის ყველა ვალდებულებას თავმჯდომარის არყოფნის ან სხვა მიზეზით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში განახორციელებს თანათავმჯდომარე და ამავე დროს მას ექნება ყველა ის ვალდებულება და უფლება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც დროდადრო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს/მიენიჭოს მას.
1.1.1. From the side of Ministry – 6 Members including Chairman.	1.1.1. სამინისტროს მხრიდან - 6 წარმომადგენლის მონაწილეობით, მათ შორის ერთ-ერთი - თავმჯდომარე;
1.1.2. From the side of “GAHSC” – 6 Members including co-Chairman	1.1.2. „GAHSC“-ის მხრიდან - 6 წარმომადგენლის მონაწილეობით, მათ შორის ერთ-ერთი - თანათავმჯდომარე;
1.1.3. To work out background materials and draft	1.1.3. საბჭოსთვის რეკომენდაციების სამუშაო ვერსიებისა და დამხმარე მასალების შემუშავების

recommendations to be considered and approved by the Board. The Task Groups shall be established for particular components of the Project Scope to be defined by the Board. Task Groups shall be guided by respective GAHSC Project Managers and be composed of representatives of Ministry (local experts/officials etc.) and external experts hired by GAHSC.	მიზნით შეიქმნება სამუშაო ჯგუფები პროექტის სფეროს კონკრეტული კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრული იქნება საბჭოს მიერ, მიმართულებით. სამუშაო ჯგუფებს უხელმძღვანელებენ GAHSC-ის შესაბამისი პროექტის მენეჯერები, სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებულნი იქნებიან როგორც სამინისტროს წარმომადგენლებით (თანამშრომლები, დარგის ექსპერტები და სხვ.) ასევე გარე ექსპერტებით, რომელთაც დაიქირავენ GAHSC-ი.
1.2. The personal composition of the Board will be defined by parties respectively according to quota.	1.2. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება მხარეთა მიერ, კომპეტენციისამებრ, განსაზღვრული კვოტების შესაბამისად.
1.3. Board sessions are open for the Board members and Task Group members invited for presenting materials pertinent to the Agenda items. Non members of the Board will participate in the session without voting rights.	1.3. საბჭოს სხდომები ღიაა საბჭოს წევრებისა და სამუშაო ჯგუფების წევრებისათვის, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მასალების წარმოსადგენად. საბჭოს არა წევრი პირები საბჭოს სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ ხმის უფლების გარეშე.
1.4. Organizational support to the Board and Task Groups will be rendered by the Secretariat to be headed by the Executive Secretary. Secretariat will be responsible for the organization of the meetings of both the Board and Task groups as well as for providing and organizational support towards fulfilment of the assignments of the Chairman. Neither Secretariat members nor the Executive Secretary will have voting rights. GAHSC, with prior approval from the Ministry, will provide/hire members of the secretariat.	1.4. საბჭოსა და სამუშაო ჯგუფების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საბჭოს სამდივნო, რომელსაც უძღვება აღმასრულებელი მდივანი. სამდივნო პასუხისმგებელი იქნება საბჭოს სხდომებისა და სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ორგანიზებაზე და, ასევე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე. არც სამდივნოს წევრებს და არც აღმასრულებელს მდივანს არ ექნება საბჭოზე ხმის უფლება. სამდივნოს წევრებს, სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებით, დანიშნავს/დაასაქმებს GAHSC-ი.
2. Rights of the Board	2. საბჭოს უფლებამოსილებები:
2.1. The Board is a coordination and advisory body reporting to the GAHSC and Ministry top officials, which during it's activities complies with this addendum, the Agreement and Georgian legislation in force.	2.1. საბჭო წარმოადგენს სამინისტროსა და GAHSC-ისა ხელმძღვანელ პირებთან ანგარიშვალდებულ საკოორდინაციო-საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ამ დანართით, ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2.2. The Board will be responsible for making recommendations to the Ministry regarding following:	2.2. საბჭო პასუხისმგებელია სამინისტროსთვის რეკომენდაციების გაწევაზე შემდეგი მიმართულებით:
2.2.1. disaggregation of the Project scope into scheduled action plans of mutual actions;	2.2.1. პროექტის მოქმედების სფეროს ერთობლივი აქტივობების გაწერილ სამოქმედო გეგმებად გარდაქმნა;
2.2.2. specification of requirements to products and follow up actions that shall be delivered according to the agreed action plans;	2.2.2. პროდუქტებზე მოთხოვნების და შემდგომი ღონისძიებების დეტალური აღწერა/სპეციფიკაცია, რომლებიც განხორციელდება შეთანხმებული სამოქმედო გეგმების შესაბამისად;

2.2.3. establishment and coordination of the specialized Task Groups to manage and supervise development of products and follow up actions envisaged by the action plans and to be composed of experts and specialists designated by Ministry and GAHSC;	2.2.3. სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფების შექმნა და კოორდინაცია, პროდუქტების შექმნისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული შემდგომი აქტივობების მენეჯმენტისა და ზედამხედველობის მიზნით, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან სამინისტროსა და GAHSC-ის მიერ წარდგენილი ექსპერტებისა და სპეციალისტებისგან.
2.2.4. Validation of products delivered by GAHSC for acceptance against specified requirements.	2.2.4. GAHSC-ის მიერ წარმოდგენილი (მოწოდებული) პროდუქტების სპეციფიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.
2.3. The recommendations of the Board referred to in paragraphs 2.2.1 and 2.2.2. shall be further confirmed by Parties through signing supplementary agreements constituting an integral part of this Agreement. All other recommendations and decisions of the Board, considering their content, will be presented to Ministry and/or GAHSC respectively.	2.3. 2.2.1 და 2.2.2. პუნქტებით გათვალისწინებული საბჭოს რეკომენდაციების დამტკიცება მოხდება მხარეების მიერ დამატებითი ხელშეკრულებების სახით, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. საბჭოს მიერ მიღებული სხვა რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები, შინაარსის გათვალისწინებით, წარედგინება სამინისტროს და/ან GAHSC-ს.
3. Rules of Activity of the Board	3. საბჭოს საქმიანობის წესი:
3.1. The Board operates through the sessions.	3.1. საბჭო მუშაობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.
3.2. The sessions will be convened by the initiative of the Chairman of the Board or majority of the Board.	3.2. სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.
3.3. The Chairman will determine agenda of the session.	3.3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს, განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე.
3.4. The Board is plenipotentiary if at least half of the members of the Board take part in the session provided that minimum 3 members representing each of the Parties partake the session. Participation in the Board session may be performed by physical presence or by means of communication/teleconferencing.	3.4. საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომაზე მონაწილეობას იღებს საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც. ამასთან, თითოეული მხარის მინიმუმ სამი წევრი უნდა იყოს წარმოდგენილი. საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფიზიკურად დასწრებით ასევე კომუნიკაციის/ტელეკონფერენციის საშუალებით.
3.5. The preferred way for decision making by the Board is consensus.	3.5. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსით.
3.6. The decision/recommendation of the Board is concluded through minutes of the sessions in English and Georgian languages and signed by the Chairman of the Board and Executive Secretary.	3.6. საბჭოს გადაწყვეტილება/რეკომენდაცია ფორმდება სხდომის ოქმით ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი მდივანი.
3.7. Rules and procedures, which are not defined by this agreement, will be regulated by the Board itself.	3.7. საბჭოს საქმიანობის წესებთან და პროცედურებთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არაა განსაზღვრული წინამდებარე შეთანხმებაში, დარეგულირდება საბჭოს მიერ.
3.8. The decision/recommendation of the Board may be concluded also through poll, the procedure of which will, as required, defined by the Board	3.8. საბჭოს გადაწყვეტილება/რეკომენდაცია შეიძლება მიღებულ იქნეს აგრეთვე, საბჭოს წევრთა გამოკითხვის წესით, რომლის პროცედურას, საჭიროებისამებრ, განსაზღვრავს საბჭო.

4. Other provisions	4. სხვა პირობები:
4.1. This agreement is integral part of the Agreement #P/350304/10 on state procurement of advisory services dated 07 April of 2015	4.1. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 7 აპრილს გაფორმებული N3/350304/10 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
4.2. This Agreement is executed in two counterparts, each of which is an original, but all of which constitute the same agreement.	4.2. წინამდებარე შეთანხმება გაფორმებულია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ორიგინალს, მაგრამ ერთობლივად, ორივე ეგზემპლარი წარმოადგენს ერთი და იგივე შეთანხმებას.
4.3. This Agreement has been drawn up in the English and Georgian languages. In case of discrepancies the English version shall prevail.	4.3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე. ტექსტებს შორის უზუსტობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება შეთანხმების ინგლისურ ვერსიას.
5. Requisites of the Parties	5. მხარეთა რეკვიზიტები:
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო
Identification # 211333957 144 Ak. Tsereteli Ave, Tbilisi, 0119, Georgia State Treasury, Code TRESGE22 ACC: 200122900	საიდენტიფიკაციო კოდი #211333957 ქ. თბილისი, 0119, ავ. წერეთლის გამზირი #144 სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22 ა/ა 200122900
By:  ხელმოწერი:	
Name: Mr. David Sergeenko	სახელი: დავით სერგეენკო
Title: Minister	თანამდებობა: მინისტრი
Date: 30 April 2015	თარიღი: 30 აპრილი 2015 წელი
GLOBAL ALLIANCE FOR HEALTH AND SOCIAL COMPACT	„Global Alliance for Health and Social Compact“
Company registration number 9196046 22 Billet Street, Taunton, Somerset, TA13N. Beneficiary: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. Acc. Number: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) Beneficiary Bank: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW Intermediary Bank: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X Receiver's Correspondent Bank: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33	კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი 9196046 ინგლისი, TA13NG, სომერსეტი, ტონტონი, ბილეთის ქ. №22 მომღებო: Global Alliance for Health and Social Compact Ltd. ანგარიში ნომერი: 500509-001-1 IBAN: AT09 1945 0050 0509 0011 (USD) მომღები ბანკი: Liechtensteinische Landesbank (Österreich) AG SWIFT: LILAATWW შუამავალი ბანკი: Liechtensteinische Landesbank Vaduz SWIFT: LILALI2X მიმღების საკორესპონდენციო ბანკი: JPMorgan Chase Bank NA SWIFT: CHASUS33
By:  ხელმოწერი:	
Name: Dr. Jean Elie Charles Malkin	სახელი: ჟან ელი ჩარლზ მალკინი
Title: Authorized Representative	თანამდებობა: უფლებამოსილი წარმომადგენელი
Date: 30 April 2015	თარიღი: 30 აპრილი 2015 წელი